პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 მარტი სამშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი ● № 71 (14371)

საერთაშორისო ინტერნაციონალის ჯარისკაცები

ბოლის ქვირფასი ნიაღისველი

ფაღალუბო. (საკ. კორ.). „საქგუმბრინის" მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი ღირსეულად ეწევა ლენინურ შრომითს ვასტს. მაღაროელებმა 107,9 პროცენტით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა და გადაამეტეს რეალიზაციის დავალებას.

მადნის მოპოვება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბანოჯის ღია კარიერზე, რომელიც ახლახან გადაეცა საექსპლოატაციოდ. კარიერის კოლექტივმა, რომელსაც გამოცდილი სამთო ინჟინერი მ. ხოჯავა უძღვება, იანვარ-თებერვალში გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა გუმბრინი ამოიღო. ვასტზე დაწინაურდა აგრეთვე № 1 მაღაროს კოლექტივი (უფროსი ა. ფუთურიძე).

გელათური ტრანსფორმატორები

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქში ლამპიონები ანთია. გზის სავალ, ნაწილს უხვად ეფინება დღის სინათლე. ბევრმა ალბათ არც კი იცის, რომ ლამპიონის ერთ-ერთ ნაწილს — გასაშვებ-მარეგულირებელ მოწყობილობას გელათში ამზადებენ. შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გაითქვა სახელი გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის ნაწარმმა. გელათური მარკის ტრანსფორმატორები იგზავნება მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში.

გელათელებმა წელს კარგი სტარტი აიღეს, გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის იანვარ-თებერვლის გეგმა. მიღებულია 8 ათასამდე მანეთი ზეგეგმითი მოგება. წარმოების ფონდებში უკვე გადაირიცხა 10 ათასი მანეთი. აქედან 6 ათასი მანეთი მატერიალური წახალისების ფონდში ჩაირიცხა. მარტო პრემიისა და წახალისების სახით წელს უკვე გაიცა 19 ათასი მანეთი.

გელათელები დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ ქარხნის სიმძლავრეთა გადიდებისათვის, სულ მალე აქ დამთავრდება 60 მეტრის სიგრძის ლენტიანი კონვეიერის მონტაჟი გამშვებ-მარეგულირებელი მოწყობილობის წარმოებისათვის.

ავეჯის ახალი ნიმუშები

ფეხვალ ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან თბილისის ექსპერიმენტალური საავეჯო ფაბრიკის (დირექტორი გ. მაცაბერიძე) ინჟინერ-კონსტრუქტორები. აქ იქმნება ავეჯის ახალი სახის ნიმუშები, რომელიც თანამედროვე პირობების გათვალისწინებით სადა, ორიგინალური და მოსახერხებელია.

ფაბრიკის ახალი პროდუქციიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტელევიზორის დასადგმელად განკუთვნილი მაგიდა, რომელიც წვეულების დროს იშლება 22 კაცისათვის. მაგიდის ნიმუში მოწონებულ იქნა საქართველოს სავაჭრო პალატისა და ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან არსებული სამხატვრო სამეურნეო საბჭოს მიერ. ფაბრიკამ პირველი საცდელი პარტია უკვე გამოუშვა და მასობრივი წარმოებისათვის გადასცა ბათუმის ბამბუკის საავეჯო ფაბრიკას.

ასევე აღსანიშნავია ტახტი, რომლის თეთრეულის შენახვისათვის განკუთვნილი ადგილი საგრძნობლად არის გაზრდილი.

ლენინურ შრომითს ვასტზე განსაკუთრებით დაწინაურდა კომუნისტური შრომის ის ბრიგადა, რომელსაც ე. გოგია ხელმძღვანელობს, აგრეთვე მუშები ე. აბულაძე, ვ. შამანაური, ა. მუზაშვილი, რომლებიც დღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. („კომუნისტის" კორ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის ცნობა ვარშავის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1969 წლის 17 მარტის ბუდაპეშტის თათბირის შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ თავდაცვის მინისტრების მიერ შესაბამისი მთავრობების მოწონებით შემუშავებულ ღონისძიებებსა და პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე დამტკიცებულ დოკუმენტებს, რომლებიც მიმართულია ვარშავის ხელშეკრულების თავდაცვითი ორგანიზაციის სტრუქტურისა და მართვის ორგანოების შემდგომი სრულყოფისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვთ ოგრესიული იმპერიალისტური ბლოკის — ნატოს ახლანდელ აქტივიზაციასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ ბუდაპეშტის თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ევროპის ყველა ქვეყნისადმი, რომ მომზადდეს და მოეწყოს სრულიად ევროპის თათბირი ევროპის ქვეყნების უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, და საჭიროდ ცნეს რაც შეიძლება მალე მოეწყოს ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრა ასეთი თათბირის მოწვევის პრაქტიკულად მომზადებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე ერთსულოვნად მიღებული გადაწყვეტილებანი არსებითი წვლილი იქნება სოციალისტური ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების საქმეში და ხელს შეუწყობენ აქტუალური საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და საბჭოთა მთავრობამ სავსებით მოიწონეს სსრ კავშირის დელეგაციის საქმიანობა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე და დაავალეს შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი თათბირზე მიღებულ იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირს როგორც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეს.

1969 წ. 21 მარტი.

მცხეთის რაიონი. ბუხრანის კოლმეურნეობის ზვრები 180 ჰექტარზეა გადაბოლილი. აქედან მსხმოიარეა 83 ჰექტარი. ბოლო წლებში აქაური კოლმეურნეები კარგად დაუფლნენ ვაზის მოვლა-პატრონობას. ბაზაფხულის დადგომისთანავე მეზვრეებმა გაარღვიეს რიგთაშორისების ხვნა, ვაზის ძირების გამობარვა, სასუქების შეტანა, სხვლა და სხვა სამუშაოები.

ახლა დილიდან გვიანობამდე ზვრებში მუშაობენ მოწინავე მეზვრეები გ. თინიკაშვილი, ა. ლომიაშვილი, ბ. მებალიშვილი, ისინი სხვლის სამუშაო დავალებებს 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ვ. უუშიტაშვილი.

სურათზე: მეზვრეები გიორგი მებალიშვილი.

ფოტო ავტორისა.

კომუნიკე

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომების შესახებ

18-22 მარტს მოსკოვში გაიმართა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომები.

მოსამზადებელი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ შემდეგი კომუნისტური და მუშათა პარტიები: ავსტრალიის კომუნისტური პარტიის, ავსტრიის კომუნისტური პარტიის, ალჟირის სოციალისტური ავანგარდის პარტიის, არგენტინის კომუნისტური პარტიის, ბელგიის კომუნისტური პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, ბოლივიის კომუნისტური პარტიის, ბრაზილიის კომუნისტური პარტიის, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის, ვენესუელის კომუნისტური პარტიის, ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის, გვადელუპის კომუნისტური პარტიის, გვატემალის „შრომის პარტიის, გერმანიის კომუნისტური პარტიის, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის, ჰონდურასის კომუნისტური პარტიის, საბერძნეთის კომუნისტური პარტიის, დანიის კომუნისტური პარტიის, დომინიკოს კომუნისტური პარტიის, ისრაელის კომუნისტური პარტიის, ინდოეთის კომუნისტური პარტიის, ირლანდიის კომუნისტური პარტიის, ერაყის კომუნისტური პარტიის, ირანის სახალხო პარტიის, ირლანდიის მუშათა პარტიის, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის, ესპანეთის კომუნისტური პარტიის, იტალიის კომუნისტური პარტიის, კანადის კომუნისტური პარტიის, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის, კოლუმბიის კომუნისტური პარტიის, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტიის, ლიბანის კომუნისტური პარტიის, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის, მაროკოს განთავისუფლებისა და სოციალიზმის პარტიის, მარტინიკის კომუნისტური პარტიის, მექსიკის კომუნისტური პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, ნიკარაგუის სოციალისტური პარტიის, პანამის სახალხო პარტიის, პარაგვაის კომუნისტური პარტიის, პერუს კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის, პუერტორიკოს კომუნისტური პარტიის, რეიუნიონის კომუნისტური პარტიის, რუმინეთის კომუნისტური პარტიის, სალვადორის კომუნისტური პარტიის, სან-მარინოს კომუნისტური პარტიის, სირიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სუდანის კომუნისტური პარტიის, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის, ტუნისის კომუნისტური პარტიის, თურქეთის კომუნისტური პარტიის, ურუგვაის კომუნისტური პარტიის, ფინეთის კომუნისტური პარტიის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, ცეილონის კომუნისტური პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, ჩილეს კომუნისტური პარტიის, შვეიცარიის შრომის პარტიის, ეკვადორის კომუნისტური პარტიის, სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის დელეგაციები.

შვეიცის მემარცხენე პარტია — კომუნისტების წარმომადგენლები სხდომებზე მეთვალყურეებად მონაწილეობდნენ.

მოსამზადებელმა კომისიამ განიხილა მომავალი თათბირის ძირითადი დოკუმენტის პროექტი. თათბირის დღის წესრიგი განისაზღვრა საკონსულტაციო შეხვედრაზე: „თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა".

ხუსიის მონაწილეებმა გამოთქვეს თავიანთი თვალსაზრისი და შეთანხმდნენ გაუგზავნონ პროექტი კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, რომლებსაც თავიანთი დელეგაციები წარუდგენენ ინფორმაციას მოსამზადებელი კომისიის სხდომების შესახებ. კომისიის მონაწილეებმა დათქვეს აგრეთვე თათბირისათვის სხვა მასალების მომზადების წესი. კომისიამ განიხილა თათბირის მოწყობის ორგანიზაციული საკითხები. მოსამზადებელი კომისია თავის საბოლოო ხელისაზე ამა წლის 28 მაისს შეიკრიბება მოსკოვში.

საერთაშორისო თათბირი გაიხსნება მოსკოვში 1969 წლის 5 ივნისს.

მოსამზადებელმა კომისიამ კვლავ დადასტურა, რომ ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას იწვევს მომავალ თათბირში მონაწილეობის მისაღებად.

მოსამზადებელი კომისიის მუშაობამ, რომელიც ამხანაგური თანამშრომლობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიები სულ უფრო მეტად ესწრაფვიან შეკავშირდნენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხაერთო მიზნებისათვის ბრძოლაში მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტაროული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე.

მიფრინავს „კოსმოს-274"

1969 წლის 24 მარტს საბჭოთა გაშვირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-274". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განკუთვნილია კოსმოსური სივრცის კვლევისათვის იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქლესა გამოცხადა 1962 წლის 16 მარტს.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

ყველაზე ადრეული კუბლიკაცია ვ. ი. ლენინის შესახებ

რუსულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ვ. ი. ლენინის შესახებ პირველი ცნობის საყოველთაოდ აღიარებული თარიღი შეიძლება ხუთი წლით ადრე გადავიტანთო. ეს დაადგინა ვორონეჟელმა მხარეთმცოდნემ, პენსიონერმა ი. ი. ნიკიტინმა, საზოგადოება „ცოდნის" საოლქო ორგანიზაციის ყოფილმა მეთოდისტმა.

პოპულარული ბროშურის „ვ. ი. ლენინის ფსევდონიმების" ავტორი ნ. ნ. ვოლპერი და ნ. მ. კაუფმანი, რომელმაც დაწერა ნაშრომი „რუსი ენციკლოპედისტები", ასახელებენ 1915 წელს — თარიღს, როცა გამოვიდა ბროკგაუზისა და ეფრონის ახალი „ენციკლოპედიური ლექსიკონი" და „ძმები გრანატების ენციკლოპედიური ლექსიკონი", რომლებიც შეიცავენ სტატიებსა და ცნობებს ვ. ი. ლენინის შესახებ.

მაგრამ ჯერ კიდევ ადრე, 1910 წელს, გამოვიდა ფ. პავლენკოვის „ენციკლოპედიური ლექსიკონი". სწორედ მასში აღმოაჩინა ი. ი. ნიკიტინმა შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„ლენინი — სოციალ-დემოკრატების „ბოლშევიკთა" ფრაქციის ლიდერი. დაწერა: „რუსეთის კაპიტალიზმის ისტორია" (ფსევდონიმით ვლად. ილინი), ბევრი საგაზეთო და საჟურნალო სტატია და ბროშურა: „რა ვაკეთოთ", „კადეტების გამარჯვება", „აგრარული პროგრამის გადასინჯვა" და სხვ.".

ეს, როგორც ჩანს, არის ყველაზე ადრეული პუბლიკაცია ვ. ი. ლენინის შესახებ რუსულ ოფიციალურ საცნობარო ლიტერატურაში. (საკდესის კორ.).

ბორგანელი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციაში



მესამე წელია ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობა წარმოებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემისათვის. ეს იქნება „სოციალურ-ეკონომიური, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური ცოდნის სისტემატური კრებული, უნივერსალური სამეცნიერო ცნობარი, რომელშიც აისახება ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა დარგი. ენციკლოპედია ფართოდ ასახავს საბჭოთა საქართველოს მიღწევებს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, მის ისტორიულ წარსულსა და აწმყოს. იგი გამოხატავს ქართველი ხალხის დამოკიდებულებას ზოგადსაკაცობრიო კულტურისადმი, ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მთელი საუნჯისადმი.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას ექნება არა მარტო შემეცნებითი, არამედ აღმზრდელობითი მნიშვნელობაც. მან ხელი უნდა შეუწყოს მკითხველებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში დაიბეჭდება 80 ათასზე მეტი სტატია მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამჟამად მთავრდება მუშაობა მთელი გამოცემის სიტყვანაზე და მიმდინარეობს პირველი ტომის შედგენა, რომელიც უკვე 1970 წელს უნდა გამოვიდეს.

ენციკლოპედიის გამოსაცემად რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა მთავარი სარედაქციო კოლეგია და სპეციალური სამეცნიერო რედაქცია. კოლეგიის შემადგენლობაში შევიდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, სპეციალისტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციამ მიიღო ახალი ფუნდამენტური შენობა ვაკის რაიონში.

ამ დღეებში ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციას ეწვივნენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, ბ. ს. ძოწენიძე. ისინი გაეცნენ მთავარი სარედაქციო კოლეგიისა და სპეციალური სამეცნიერო რედაქციის მუშაობას, გამოკითხეს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ენციკლოპედიის მომზადებისა და გამოცემისათვის.

გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი პოეტი აკადემიკოსი ი. ბ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორის მოადგილე აკადემიკოსი ბ. ვ. წერეთელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რ. რ. დვალი, აგრეთვე რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკები.

საუბრის დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ქართველ მეცნიერებსა და შემოქმედებითს ინტელიგენციას წილად ხვდა დიდი პატივი და პასუხისმგებლობა — იყვნენ პირველი ქართული უნივერსალური ენციკლოპედიის შემქმნელნი. რესპუბლიკის მთელ საზოგადოებრიობას ენციკლოპედიის გამოცემა მიაჩნია დიდ ეროვნულ საქმედ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლინებად ქართველი ხალხის კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელების დადასტურებად. (საქდესი).

ჩაის კვირეული

მარტს უკანასკნელ კვირას „ჩაის დღის" მოწყობა ჩვენს რესპუბლიკაში ტრადიციად იქცა. ამ ზეიმის მოწყობის მიზანი ის არის, რომ უფრო ფართოდ დანერგოთ ჩაის მოხმარების კულტურა საქართველოში.

სულ რაღაც 50-60 წლის წინათ ჩვენში ჩაი ცნობილი იყო როგორც წამალი. ამჟამად კი ჩაი სასმელი, მოსახლეობის მასობრივი მოთხოვნილების საგანი გახდა.

მიუხედავად ამისა, ჩაის მოხმარება საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ჩვენში 60 გრამამდე ჩაი მოდის, მაშინ როცა საერთა-საკავშირო მაჩვენებელი 360 გრამს შეადგენს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მრეწველობისა და ვაჭრობის ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებები ჩაის ხარისხის გაუმჯობესების, მისი ასორტიმენტის გაზრდის, აგრეთვე ჩაის მოხმარების კულტურის ამაღლებისათვის.

სწორედ ამის შედეგია ის, რომ თუ ხუთწლედის სამ წელიწადში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა 25 პროცენტით გაიზარდა, ჩაის ბარჯვის ზრდამ 84 პროცენტს გადააჭარბა. ჩაის რეალიზაციის გადიდების მხრივ განსაკუთრებით დიდი წარმატებები იქნა მიღწეული 1968 წელს, როცა ჩაის ხარჯვა რესპუბლიკაში წინა წელთან შედარებით 35 პროცენტით გადიდდა. „ჩაის დღეები" რომ შეანიშნავ რეკლამას წარმოადგენს, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ ასეთ ციფრებს მოვიყანთ. გასულ წელს თბილისში დღეში ჩვეულებრივ 45 კილოგრამი ჩაი ყიდებოდა. ჩაის დღეების ზეიმის დროს კი ამ ციფრმა დღეში 65 კილოგრამს მიაღწია.

ამ მიზნით, რომ წელიწადს უფრო წარმატებით ჩაიაროს ამ ტრადიციულმა დღეებმა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ და ცენტროსაკავშირის გამგეობამ შექმნეს სპეციალური კომისია. გასულ წლებთან განსხვავებით ამჟამად „ჩაის დღის" ნაცვლად „ჩაის დღეებს" ვატარებთ, რაც გუშინ დაიწყო და კვირას, 30 მარტს დამთავრდება. თუ წინა წლებში „ჩაის დღის" ზეიმი ერთ დღეს გრძელდებოდა და მასში მხოლოდ რესტორანები, კაფეები, საჩაიები ან ჯ. წ. საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი კვების ობიექტები მონაწილეობდნენ, ამჟამად კვირეულში ჩაერთბიან მუშათა და სტუდენტთა სასადილოებიც.

როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს ჩაის დღეები გაიმართა მოსკოვში, სვერდლოვსკში, ივანოვოსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. ამ ღონისძიებებმა ქართველ ჩაის

ბ. რეხვიაშვილი,

ჩაის კვირეულის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე

მრავალი თაყვანისმცემელი შესძინა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენთან მან ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა ისეთი ავტორიტეტი, როგორც სსრ კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამას ბევრი მიზეზი აქვს, რომელთა ჩამოთვლას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ვაჭრობის სისტემაში ყველა საწარმო როდი აქცევს ჯეროვან ყურადღებას ჩაის რეალიზაციის საქმეს. მართალია, ამ მხრივ საზოგადოებრივი კვების მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა კარგად იმუშავეს გასულ წელს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგრამ ყველგან ასე როდია. 1967 წელთან შედარებით ადზაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სულ არ გაუზრდია ჩაის ბარჯვა, ხოლო საზოგადოებრივი კვების ტრესტების თბილისის სამმართველომ მხოლოდ 7 პროცენტით გაადიდა. ეს იმიტომაც ხდება, რომ საზოგადოებრივი კვების ზოგიერთ ჩვენს ობიექტზე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას ჩაის გაყიდვის კულტურა. უფრო მეტიც, ხშირად უხეშად ირღვევა ჩაის დაყენებისა და გაცემის ელემენტარული წესებიც, რის გამო მომხმარებელი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შემოღებული, რომ მომტანმა რესტორანში ან კაფეში მომხმარებელს შესთავაზოს ჩაი.

არის შემთხვევები, როცა საცალო სასურსათო ქსელშიც არ ექცევა სათანადო ყურადღება ჩაის ასორტიმენტის არსებობას, ვიტრინებში გამოდგმას.

ამ ბოლო ხანს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საჩაიეებისა და სპეციალიზებული მაღაზიების გახსნას. გასულ წელს სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში გეგმით ხუთი საჩაიე უნდა გახსნილიყო, ფაქტიურად გაიხსნა სამი.

წელს „ჩაის დღეებისათვის" მზადების პერიოდში ჩვენი თხოვნით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ და „საქართველოს ჩაის" ტრესტმა გამოვიყენეს ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტები — ტიტესტერები და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოებს მიამაგრეს, სადაც ჩაის დღეები უნდა გაიმართოს. „ჩაის დღეებში" ტიტესტერები მოსახლეობას კონსულტაციას გაუწევენ ჩაის დაყენების საკითხებზე. გარდა ამისა, საზოგადოებრივი კვების 4 საწარმოში (რესტორანში „საქართველოში", „სანიმუშო საჩაიეში", რესტორანში „თბილისში" და დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სასადილოში) მოეწყობა სხვადასხვა ასორტიმენტის ჩაის საზოგადოებრივი დეგუსტაცია.

ჩაის დღეები უკვე დაიწყო. თუ შარშანდელ გაკვეთილს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფარაუდოთ, რომ ეს დღეები საქართველოში უფრო მეტ თაყვანისმცემელს შესძენს ჩაის, რომელიც უკვე კარგახანია სხვაგან ჩვენზე მეტად მოიწონეს და შეიყვარეს.

გელით ჩაის სუფრაზე.

ᲐᲦᲕᲣᲖᲐᲠᲓᲝᲗ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲗᲐᲝᲒᲐ

Ჯ. ᲒᲔᲚᲔᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘ,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

ჯანმრთელობა ჩვენი წარმატებისა და ბედნიერების საფუძველია. ამიტომ არის, რომ ჩვენს კვეყანაში ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მთავარი საგანია. ჩვენში განსაკუთრებული ყურადღებით არიან გარემოსილი ბავშვები. მომავალი თაობა, რომელსაც კომუნისტები მოუწევს ცხოვრება, ჯანსაღი ყოველმხრივ განვითარებული და სრულყოფილი უნდა იყოს.

აქეთკენ არის მიმართული საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ყურადღება. ამ დიდ საზოგადოებრივ საქმეს ემსახურება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიაც. კომისიის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ბავშვთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ვერ ნახავთ ბავშვს, რომელის ჯანმრთელობას მუდმივ კონტროლს და მეთვალყურეობას არ უწევდეს რომელიმე სამედიცინო დაწესებულება. საქართველოს ყველა კუთხეში განსხვავდა ბავშვთა სამკურნალო, პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ფართო ქსელი. ბავშვებსა და მოზარდებს მომსახურებას უწევს 267 პოლიკლინიკა და ამბულატორია. ადრეული ასაკის ბავშვებსა და დედებს ემსახურება 167 ბავშვთა კონსულტაცია. რესპუბლიკაში არის 29 სანავშვო საავადმყოფო, რომლებიც აღჭურვილი არიან უახლესი აპარატურითა და ინვენტარით. თითქმის ყველა მსხვილ სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებასთან ცალკე არის განსხვავდა ბავშვთა განყოფილებები და კაბინეტები — ბალნეოლოგიური, რეგმატოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ონთოპედიული.

წლითიწლობით იზრდება ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელი. ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში არის 26 ბავშვთა სანატორიუმი, ყოველწლიურად ზაფხულობით ეწყობა 116 პიონერთა და მოსწავლეთა ბანაკი 1.300-ზე მეტი გამაჯანსაღებელი მოედნით. ამ მოზარდებს ემსახურება სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერები, მათს განკარგულებაშია სპორტული ბაზები.

ბავშვთა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში ბავშვებსა და მოზარდებს მომსახურებას უწევს 1.500-ზე მეტი პედიატრი და სხვა სპეციალობის 864 ექიმი, საშუალო სამედიცინო პერსონალის 2.760 მუშაკი.

ამის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი წარმატებებია მოპოვებული ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდ დღიდან, საკმარისია ითქვას, რომ ამ ხნის მანძილზე დიდად შემცირდა ადრეული ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა, მთლად მოისპო ზოგი ინფექციური დაავადება, საგრძნობლად ამატა მოზარდთა საერთო განვითარებამ.

ამ წარმატებათა მიუხედავად ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ზრუნვა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ პირველი რიგის სახელმწიფოებრივ ამოცანად რჩება. ამიტომ არის, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველწლიურად ზრდის დაფინანსებას ამ საზრდ. მატულობს ბავშვთა სამკურნალო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ქსელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ გასულ წელს შესწავლა ბავშვთა სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა ჩვენს რესპუბლიკაში. გამოვლინდა, რომ გარკვეულ მიღწევებთან ერთად ამ საქმეში ჯერ კიდევ ხერხიზული ნაკლოვანებები გვაქვს.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ბავშვთა საავადმყოფოების რაოდენობა 30 პროცენტით გაიზარდა და მათი მატერიალური ბაზაც საგრძნობლად გაუმჯობესდა, საქართველოს ზოგ რაიონში ბავშვთა საავადმყოფოები კეთილმოწყობილია, აშკარად იგრძნობა საწოლთა ნაკლებობა. აბაშის, წულუკიძის, ცხაკაიას, ასპინძის, ახმეტის, ჩოხატაურის, სამტრედიის, მახარაძის, წყალტუბოს, წალკის, ტყვარჩელის და ზოგი სხვა რაიონის ბავშვთა საავადმყოფოები შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. ეს აფერხებს სანიტარიული ნორმების დაცვას და ავადმყოფთათვის კვალიფიციური მომსახურების გაწევას. გაძნელებულია ავადმყოფთა გამოკვლევისა და მკურნალობის ახალი მეთოდების გამოყენება.

ბავშვთა საავადმყოფოებ ის უმრავლესობაში ხათანადოდ არ არის მოწყობილი ბავშვთა კვება, ისინი ცუდად მარაგდებიან ბავშვისათვის ესეთი აუცილებელი პროდუქტებით, როგორც არიან რძე და რძის ნაწარმი, ბოსტნეული, კვერცხი, ხალი და სხვ. ზოგ საავადმყოფოში შემოღებული არ არის დიეტური და სამკურნალო კვება, ავადმყოფი ბავშვები ზოგჯერ მშობლების მიერ შინიდან მოტანილი საჭმლით იკვებებიან.

ასეთივე არახარხარიელო მდგომარეობაა ბავშვთა ამბულატორიული მკურნალობის საქმეშიც. მართალია, უკანასკნელ წლებში გაიხსნა რამდენიმე ახალი ბავშვთა პოლიკლინიკა, და საერთოდ საგრძნობლად გაუმჯობესდა ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამისათვის, რომ საქმე მოწოდების დონეზე ავიყვანოთ.

ამჟამად ჩვენში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დიდი ნაწილი ბაღებსა და ბაღებში იზრდება. აქ მათ ყველა პირობა უნდა ჰქონდეთ იმისათვის, რომ ჯანსაღი ფიზიკურ-ფსიქიკური ზრდა-განვითარებისა ბავშვებს ეგულებოდეთ. ბავშვებს ეძლევა ოთხჯერ ერთ-ერთ ბაღში

საერთაშორისო ცხოვრება

საკადრისი პასუხი იმპერიალისტებს

ულან-ბატორი, 24 მარტი. (საკდესი). მონღოლეთის სახოგადოებრივი-რელიგიური ლიდერების ყურადღების ცენტრშია კომუნიკე კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომების შესახებ.

მოსამზადებელი კომისიის სხდომები უმნიშვნელოვანესი ეტაპია მომავალი თათბირის მომზადების საქმეში, რომელიც 5 ივნისს იმსჯება მოსკოვში. ეს მონაცემეს საგენტოს ცნობით აღნიშნულია ულან-ბატორის რადიოს კომენტარში. შეთანხმებული გადაწყვეტილებანი, რომლებსაც მოსამზადებელმა კომისიამ მიაღწია კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე, ახალი საკადრისი პასუხია იმპერიალისტური რეაქციის ძალებისა და იმათ მიმართ, ვინც ლატარობს კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს.

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). კომუნისტური და მუშათა პარტიების მომავალი საერთაშორისო თათბირის ძირითადი დოკუმენტის პროექტი დადებითად შეაფასა საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ, წერს „ლუმანიტე-დიმანში".

ყოველკვირეულს მოკავეს საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრის ჟორჟ მარშეს განცხადება, რომ ეს დოკუმენტი განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ გაითვალისწინო საერთაშორისო ვითარება ანტიიმპერიალისტური ძალების ზრდისა და ამასთან იმპერიალიზმის აგრესიულობის გაძლიერების პირობებში. ახლანდელ სიტუაციაში, აღნიშნა, კერძოდ, ე. მარშემ, — კომუნისტურმა პარტიებმა განსაკუთრებით უნდა განამტკიცონ თავიანთი ერთიანი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საერთო მიზნების მიღწევისთვის ბრძოლაში.

საიუბილეო გამოცემანი

სოფია, 24 მარტი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის დაბადების ასი წლისთავისთვის ბულგარეთის გამომცემლობანი ამზადებენ მსოფლიოში პირველი პროლეტარული რევოლუციის გენიალური ბელადისადმი მიძღვნილი მოცული რიგი წიგნების გამოშვებას.

როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჯერ კიდევ წელს გამოვა ვ. კოსეევის წიგნი „ლენინის იდეები ეროვნულ ფრონტზე პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ". იგი გამოქვეყნდება როგორც „სოფია-პრესის" საგენტოს გამოცემა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და ესპანურ ენებზე.

გამოიცემა წიგნები „ლენინი — დროშა ბულგარეთის კომპარტიის ბრძოლაში მემარცხენე სექტანტობის, დოგმატიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ", „ლენინიზმი და სოციალისტური დემოკრატია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში", „ლენინი და ბულგარეთის სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა".

გამოიცემლობა „ბულგარელმა მწერალმა" უკვე გამოუშვა ვ. კოლევსკის მეცნიერული გამოკვლევა „ლენინი ლიტერატურაში". საინტერესოა აგრეთვე წიგნები „ლენინი და ბულგარეთი", „ბულგარელები — ლენინის თანამებრძოლნი", დასურათებული გამოცემა: „ბულგარელ რევოლუციონერთა ურთიერთობა ლენინთან", მემუარული ლიტერატურის ნაწარმოებნი, ლექსთა კრებული „მსოფლიო უმღერის ლენინს".

„იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების ყრილობა

ტოკიო, 24 მარტი. (საკდესი). აქ გაიმართა „იაპონია-სსრ კავშირის" საზოგადოების მე-18 ყრილობა. ყრილობის დელეგატებმა განიხილეს და მოიწონეს საზოგადოების საქმიანობა, მიიღეს სპეციალური რეზოლუცია. აირჩიეს ახალი ხელმძღვანელობა. საზოგადოების გამგეობის პრეზიდენტად კვლავ არჩეულია ტეცუზიკო ტოჩაკაა, ვიცეპრეზიდენტებად — მ. ზორინი, კ. ხოსოსაკა და ბორო სუდო.

ყრილობის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ იზრდება იაპონელი ხალხის სხვადასხვა ფენის ინტერესი საბჭოთა კავშირის ცხოვრებისადმი, ეკონომიკისადმი, მეცნიერებისა და ტექნიკისადმი. ყოველივე ეს, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, სტიმულია, რომ „აქტიურად ვიმუშაოთ ამ მრავალმხრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად.

ამერიკელ მეცნიერთა პროტესტი

ვაშინგტონი, 24 მარტი. (საკდესი). ამერიკის მეცნიერთა ფედერაცია გამოვიდა იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულ შტატებში შექმნან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა. ფედერაციას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის მშენებლობა გამოიწვევს „გამალებულ შეიარაღების ახალ რაუნდს".

მიაჩნია რა, რომ ასეთი სისტემის შექმნა „გამაჩანაგებელი და პროვოკაციული" წამოწყებაა, ფედერაცია ხაზს უსვამს, რომ წინააღმდეგობის გაუწევს მის მშენებლობას და ეცდება მიაღწიოს იმას, რომ შეერთებული შტატები მეტ ყურადღებას უთმობდეს სოციალურ საჭიროებებს და ნაკლებ ყურადღებას — „უსარგებლო საბრძოლო ტექნიკის" გაძლიერებას.

ამერიკის მეცნიერთა ფედერაცია თავის რიგებში აერთიანებს მეცნიერებსა და ტექნიკურ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა მეცნიერების გავლენა საშიაო და საერთაშორისო საქმეებზე.

ეროვნული უმცირობების ნიღბით

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). სენატორმა ნელსონმა პენტაგონს ბრალად დასდო, რომ კონგრესის წევრებს უმალავს ცნობებს, რომლებიც შეეხება მეცნიერულ კვლევას ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის სრულყოფისა და წარმოების დარგში. არის საფუძველი ვიფიქროთ, განაცხადა სენატორმა, რომ გადასახადის გადამხდელის ხარჯზე და მის ზურგს უკან ეროვნული უმცირობების ნიღბით აწარმოებენ ომის ყველაზე საშინელ და საზიზღარ საშუალებებს, რაზეც ყოველწლიურად იხარჯება 300 მილიონი დოლარი.

ნელსონმა მოუწოდა კონგრესს გამოიძიოს შეერთებული შტატების მიერ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოების ფაქტები.

ვან მინის სტატია

ოტავა, 24 მარტი. (საკდესი). კანადის კომპარტიის ყოველკვირეულმა გაზეთმა „კანადიენ ტრიბუნმა" სპეციალურ დამატებაში თორმეტ გვერდზე გამოაქვეყნა ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ვან მინის სტატია, რომელშიც მხილებულია მაო ძე-დუნის ანტიმარქსისტული, ანტიკომუნისტური რეაქციული ხაზი.

სტატია მოთავსებულია სათაურით „ჩინეთი. კულტურული რევოლუცია თუ კონტრრევოლუციური გადატრიალება?".

ნეონაციისტები ემზადებიან არჩევნებისათვის

ბერლინი, 24 მარტი. (საკდესი). ნეონაციისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია სულ უფრო აქტიურად ამზადებს წინასაარჩევნო ბრძოლას დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნებისათვის, რომელიც გაიმართება მომდინარე წლის სექტემბერში.

აღნ-ის საგენტო იმოწმებს ამ პარტიის გაზეთს „დოიჩე ნაციონალ-ცეიტუნგ" და იუწყება, რომ ნეონაციისტები გასავლელებლად ამზადებენ 20 მილიონ ეგზემპლარზე მეტ ბეჭდვითს გამოცემას. სპეციალური წინასაარჩევნო გაზეთის „ნეპ-კურიერის" პირველი ნომერი გამოვა 15 მილიონიანი ტირაჟით.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მავარიის ორგანიზაციამ ბუნდესტაგის არჩევნებში კანდიდატად დასახელა ბუნდესვერის ორი წარმომადგენელი. ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ნეონაციისტები დასავლეთ გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურეებს ასახელებენ კანდიდატებად. ბონის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით ამ პარტიის კანდიდატებად დასახელებული არიან ბუნდესვერის მთელი რიგი ოფიცრები, მათ შორის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მავარიის ორგანიზაციის სამხარეო გამგეობის წევრი მაიორი გეორგ პელერი.

ოფიციალური ვიზიტით თურქეთში

ანკარა, 24 მარტი. (საკდესი). თურქეთის პრეზიდენტის ჯევდეთ სუნაის მოწვევით დღეს ანკარაში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩაუშესკუ.

ფოტოინფორმაცია



● **საბჭოთა კავშირის დაკვეთით ჰ. ვისმარის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) გემთმშენებლებმა ააგეს სამეცნიერო-საკვლევი გემი, რომელსაც უწოდეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი პრეზიდენტის, გამოჩენილი აკადემიკოსის ვ. ი. ვერნადსკის სახელი. გემი გადაეცა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის საზღვაო ჰიდროფიზიკურ ინსტიტუტს. „აკადემიკოსი ვერნადსკი" — ეს არის მთელი მცურავი ინსტიტუტი, რომელსაც გამოიყენებენ დედამიწის ოკეანეებში კომპლექსური კვლევისათვის.**

სურათზე: ახალი სამეცნიერო-საკვლევი გემი „აკადემიკოსი ვერნადსკი" ზღვაში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

● **კუბის რესპუბლიკა. პაგანის მახლობლად მდებარე დაბა კანბრაში გაიხსნა ახალი პოლიეთილენის. სახალხო ხელისუფლების ფლეგში კუბაში აიგო ფაახლოებით 200 სასვადმყოფო, მოიჯაჭვდა 7 ათასზე მეტი ექიმი და ექთანი. სრულიად ლიკვიდირებულია ფარსულის ისეთი მასობრივი დაავადება, როგორიც არის პოლიომიელიტი.**

ფოტო პრენსა ლატინა-საკდესი.

● **რუმინეთის სა-ზღვაო ნავსადგურ კონსტანცაში არც დღისით და არც ღამით არ წყდება მუშაობა. აქ იტვირთება და იცლება როგორც სამამულო, ისე უცხოეთის მრავალი ქვეყნის დიდი თუ პატარა გემი.**

სურათზე: კონსტანცის ნავსადგურში.

ფოტო ოჯერპრეს-საკდესი.

24 მარტი

ყოველი მხრიდან

რაზე წერს უცხოეთის პრესა

სოციალისტური ქვეყნების გაზეთები, დემოკრატიული პრესის ორგანოები კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდ ყურადღებას უთმობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მოსამზადებელი კომისიის სხდომათა შედეგებს. ბევრი გაზეთი ‹სათაურად ათავსებს სიტყვებს, რომ საერთაშორისო თათბირი გაიხსნება მოსკოვში 5 ივნისს. ფრანგული „ლუმანიტე" ბეჭდავს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის ჟ. მარშეს განცხადებას, რომელშიც მან აღნიშნა, რომ კომისიის მუშაობამ წარმატებით ჩაიარა. „ლუმანიტე" წერს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მომავალი თათბირის ძირითადი დოკუმენტის პროექტს, რომელიც კომისიამ განიხილა.

ვიეტნამის თემას კვლავ თვალსაჩინო ადგილი უკავია საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე. გაზეთები იუწყებიან, რომ გრძელდება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების საბალო შეიარაღებული ძალების შეტევითი ოპერაციები.

როგორც პრესის ბევრი ორგანო აღნიშნავს, ამ ოპერაციების შედეგად განთავისუფლებულია სამხრეთ ვიეტნამის ახალი რაიონები. ამერიკის პრესა წერს, რომ პრეზიდენტი ნიქსონი მოლაპარაკებას აწარმოებს ამერიკის საგარეო ელჩთან ბანკერთან, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა, და სამხრეთ ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარების სარდლის მოადგილესთან გენერალ ბოდეიტერთან. „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ სამხრეთ-ვიეტნამელი პატრიოტების შეტევამ და ამასთან დაკავშირებით ამერიკელთა დანაკლისის ზრდამ გააძლიერა შეერთებულ შტატებში ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების მოთხოვნები. ფრანგული „ფიგარო" წერს, რომ ამერიკის ჯარების დანაკლისი სამხრეთ ვიეტნამში ამჟამად „ფრიად მძიმეა".

ინგლისური გაზეთების მთავარი თემაა ინგლისის კუნძულზე შექმნილი მდგომარეობა.

ჰარესი ვრცლად აშუქებს საგარეო საქმეთა მინისტრის სტეიერტის გუშინდელ განცხადებას, რომელმაც აღიარა, რომ, მიუხედავად ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგობისა, ლონდონს სურს დატოვოს ინგლისში თავისი უზენაესი კომისარი. „მორნინგ სტარი" და „გარდიანი" სარედაქციო სტატიებში აღნიშნავენ ლონდონის მკაცრ პოზიციას ინგლისის მოსახლეობის მოთხოვნების მიმართ, მაშინ როცა როდეზიის რასისტული რეჟიმის მიმართ იგი წყალუბას იჩენს. გაზეთებს მიაჩნიათ, რომ დღეგანდელი კამათის დროს პარლამენტში მთავარი თემა იქნება ინგლისის ჯარების შეჭრა ინგლისში.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არ ეთანხმებიან საბჭოთა კავშირის წინადადებას ზღვებისა და ოკეანეების ფსკერის სამხედრო მიზნით გამოყენების აკრძალვის შესახებ. ამერიკის ეს წინააღმდეგობა, როგორც გაზეთი ამბობს, იმით იხსნება, რომ ამ წინადადებამ „შეიძლება ავნოს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინტერესებს".

საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ დღეისათვის მოწვეულია საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილავენ საფრანგეთში 27 აპრილს რეფერენდუმის მოწყობის საკითხს.

დასავლეთგერმანული გაზეთები კომენტარს უძღვნიან თავდაცვის მინისტრის შრედერის გამოსვლას დიუსელდორფში. მან განაცხადა, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უნდა დარჩეს არჩევნების არსებული სისტემა. „რაინიშე პოსტი" მიაჩნია, რომ შრედერს მხარს უჭერს თავისუფალი დემოკრატიული პარტია. „პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, — წერს „გენერალ-ანეიგერი",— პრეზიდენტის ამასწინანდელ არჩევნებში დამარცხების შემდეგ შრედერს ახლა სურს განაცხადოს, რომ შეიძლება კანცლერობის კანდიდატი გახდეს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისა და თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მცირე კოალიციის შემთხვევაში. (საკდესი).

ინდოეთი

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). 5.000 არაბი პატრიოტი იტაბჯება ისრაელის ჯურმღლეებში ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იუწყება ლიბანის ყოველკვირეული „ალ-ჰერაია". მათგან ბევრს აწამებენ და ტანჯავენ, ოკუპანტები საპატიმროებში აბრუყდევენ პატრიოტებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ დამპყრობლებს, ოკუპირებული რაიონების მცხოვრებლებს, რომლებსაც ებრალებენ პარტიზანების დამალვას, გაფიცვებისა და დემონსტრაციების მონაწილეებს.

„ცდილობენ რა ჩაახშონ ბალხის წინააღმდეგობის მზარდი მოძრაობა, დამპყრობლები მიმართავენ ძალადობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რეპრესიებს იყენებენ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ანგრევენ არაბთა საცხოვრებელ სახლებს, თუ მიიტანეს ეჭვი, რომ იქ შეიძლება იმალებოდნენ პარტიზანები", — ნათქვამია „ალ-ჰერაიის" კორესპონდენციაში.

ოლიმპიადა

ბეირუთი, 24 მარტი. (საკდესი). ლიბანელ ბიატლონისტებმა ბეირუთში ჩაატარეს ოლიმპიადა, ეძღვნებოდა ბიატლონისტ ალბერ ბეიბეის ხსოვნას. ბეიბეი ბეირუთის ოლიმპიადის ერთ-ერთ ორგანიზატორ, ლიბანელ ბიატლონისტ ალბერ

საქართველოს ამბავი გარეშეთ

ქუთაისს ექნება ბუნებრივი გაზი

ქუთაისი. (საქ.). ქუთაისი გაიხად მიიღებს ბუნებრივ გაზს. გაცხოველებით მიმდინარეობს გაზგაყვანილობის მშენებლობა.

ბუნებრივი გაზის შეუფერხებლად მისაღებად ქუთაისში სამუშაოები გასული წლიდანვე წარმატებით წარიმართა. ამჟამად კავკასიის პროსპექტზე ჩაწყობილია მილები ორი კილომეტრის სიგრძეზე და სამუშაოები გრძელდება წულუკიძის ქუჩის მიმართულებით. პირველ რიგში გაზგაყვანილობა დამთავრდება კავკასიის პროსპექტზე, გორის, ავტოქარხნის, რუსთაველის, შევჩენკოს, წულუკიძის ქუჩებზე იმ ანგარიშით, რომ 1970 წლის ბოლოსათვის ეს ქუჩები ჩართულ იქნეს ბუნებრივი გაზის მაგისტრალში.

ბუნებრივი გაზის პირველი მომხმარებლები იქნებიან მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ისეთი მსხვილი საწარმოები, როგორიცაა ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო, ელექტრომექანიკური, მინის ტარის, საკონსერვო, რეზინის ტექნიკური ნაწარმის ქარხნები, ტყავფეხსაცმლის კომბინატი, მაუდის ფაბრიკა, ბურკომბინატი.

ბუნებრივი გაზის პირველი მომხმარებლები

შახტმშენებლების კურორტებზე

ტყიბული. (საკ. კორ.). შარშან შახტმშენებელთა ერთმა ჯგუფმა კუთვნილი შვებულება კავკასიისა და ყირიმის კურორტებზე გაატარა. მეორე ჯგუფმა ტურისტული საგზურებით იმოგზაურა მოკავშირე რესპუბლიკებში. პროფკავშირულმა ორგანიზაციამ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებით წელსაც ბევრი საგზური შეიძინა. სამთო გამონამუშევრების გაყვანის მრავალმა ოსტატმა უკვე დაისვენა კურორტებზე. შახტმშენებელმა ს. მანგაკიძემ წყალტუბოში იმკურნალა, ო. აბულაძემ — გაგრაში, ა. არტამონოვმა — პიატიგორსკში. ცვლის უფროსმა მ. ჭელიძემ შვებულება კისლოვოდსკში გაატარა.

წელს კურორტებზე კიდევ ბევრი შახტმშენებელი დაისვენებს.

პრემიერა თბილისში

ამ დღეებში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე წარმოდგენილ იქნა ი. ვოლჩეკის „სასამართლო ჭრონიკის“ (გადმოქართულებული ი. ტრიპოლსკის მიერ) პრემიერა.

სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ლ. მირცხულავამ, მხატვარია მ. მალაზონია. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ლ. ქიშმიშვილს. სპექტაკლის კონსულტანტია იუსტიციის უფროსი მრჩეველი მ. მახამეილი.

ნ. მეხრიშვილი.

ფითელ ლეროშოვან

წყნარი ოკეანის სასაზღვრო ოლქში

ფოტორეპორტაჟი



ფიფელ მსოფლიოს მიერდი ცნობა საბჭოთა მესაზღვრეების გმირობის შესახებ, რომლებმაც 1969 წლის 2 მარტს აღკვეთეს მდინარე უსურიზე ნიფნე-მიხაილოვკას (კუნძულ დამანსკი) სახაზღვრო პუნქტში ჩინელ პროვოკატორთა შეიარაღებული თავდასხმა საბჭოთა კავშირის საზღვარზე. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი იმ საგუშაგოს მესაზღვრეებმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ვ. ბუბენინი მეთაურობს.

ეს სურათი (მარცხნივ) საკდისის კორესპონდენტმა გადაიღო კონფლიქტამდე, ჩვეულებრივი სამხედრო სწავლების დროს.

სურათზე: საგუშაგოს მეთაური უფროსი ლეიტენანტი ვ. ბუბენინი (მარცხნივ) ამოცანას უხსნის მესაზღვრეთა განრიგს.

სურათზე ზემოთ მარჯვნივ: ჩინელ ხელისუფალთა მიერ მოწყობილი შეიარაღებული პროვოკაციის ლიკვიდაციის მონაწილენი რიგითი ჯარისკაცები ვიქტორ გოლოვინი და ალექსანდრე კამზალაკოვი (მარცხნივ) საზღვრის შემოვლის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ქვემოთ მარცხნივ აღბეჭდილია რიგითი ჯარისკაცი კომკავშირელი გენადი ლუზინი. იგი ერთ-ერთი პირველი იყო იმათ შორის, ვინც 1969 წლის 15 მარტს გმირულად მოიგერია ჩინელ პროვოკატორთა მეორე თავდასხმა კუნძულ დამანსკიზე.

* * *

სურათზე ქვემოთ მარჯვნივ: ჩინელ პროვოკატორებთან ბრძოლის მონაწილენი — კომკავშირელი სერჟანტები სერგეი რუდაკოვი და ილია კოზეცი (მარჯვნივ).

ფოტო ნ. ნაზაროვისა და ი. მურავინისა

(საკდესის ფოტოქრონიკა).

დასტაქარი

ბინდ საქართველოს გარეთ გვასახელა

◆

ომამდე ბევრ ადგილზე ბევრ ადგილზე ... ...